სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/16

ქ. თბილისი 24 აპრილი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვეტერინარული ლაბორატორიის შექმნის, მისი დებულების დამტკიცების და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 21 მარტის №5 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/51 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/51 დადგენილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვეტერინარული ლაბორატორიის შექმნის თაობაზე;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს „გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ვეტერინარული ლაბორატორია.";

3. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვეტერინარული ლაბორატორიის დებულება (დანართი);

4. დამტკიცდეს ვეტერინარული ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში და აისახოს უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**